

იაშა (იაკობ) მუსხია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივ ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
კახაბერ ბაგელაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ქუთაისის
უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

**“ათჰუნქტიანი გეგმის” ეკონომიკური
ორიენტირები და მოსალოდნელი რისკები**

2011 წლის მიწურულს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საშუალოვადიანი (2011-2015წწ.) „ათჰუნქტიანი გეგმა“, რომლის მიზანია შექმნას წინაპირობები წარმატებული, მდიდარი და ერთიანი სახელმწიფოს მშენებლობისათვის. ამ მიზნების მიღწევა უნდა განხორციელდეს ახალი სამუშაო ადგილების შექმნით და უმუშევრობის დონის შემცირებით, ხოლო შრომისუნაროთათვის (შეზღუდული შესაძლებლობის პირები, პენსიონერები) სოციალური დახმარების სისტემის გაუმჯობესებით. აღნიშნული გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: მაკროეკონომიკური სტაბილურობა მიღწევა და შენარჩუნება; მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება; საუკეთესო საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს შექმნა და შენარჩუნება; რეგიონის სავაჭრო და ლოგისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბება; ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სოფლის მეურნეობის განვითარება; განათლების სისტემის გაუმჯობესება; სოციალური პოლიტიკის დახვეწა; ხელმისაწვდომი, მაღალხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბება; ურბანული და რეგიონული განვითარება.

საქართველოს მთავრობის
ეკონომიკის განვითარების
და სოციალური
პოლიტიკის
დახმარების
სააგენტოს
განყოფილება

• **მაკროეკონომიკური სტაბილურობა.** მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის მიზნით გეგმაში გათვალისწინებულია ეკონომიკის სწრაფი ზრდა, ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფა, ქვეყნის მთლიანი ვალის მოცულობისა და საბიუჯეტო დეფიციტის მოცულობის შემცირება, დაბალი ინფლაცია, მთავრობის მცირე ზომა, ფინანსური სისტემის მდგრადობა, ჯანსაღი საბანკო სექტორის ფორმირება და მათი მდგრადობის ამადლება საშინაო და საგარეო შოკების მიმართ.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით უახლოეს წლებში ნაგარაუდევია მშპ-ის უფრო მაღალი ტემპებით ზრდა მსოფლიო ეკონომიკის საშუალო ზრდასთან შედარებით, ხოლო ოპტიმისტური სცენარით 4-წლიან პერიოდში მისი ორნიშნა რიცხვამდე გადიდება, რაც უზრუნველყოფს 2011 წელთან შედარებით 2015 წლისათვის მშპ ერთ სულზე 60-90%-ით (5,000-6,000 აშშ დოლარამდე) გაზრდას. ასევე დაგეგმილია ამავე პერიოდში მშპ ერთ სულ მოსახლეზე თითქმის გაორმაგება.

გეგმის თანახმად გათვალისწინებულია საგარეო სახელმწიფო ვალის პორტფელმა შეინარ-

ჩუნოს ხელსაყრელი ფინანსური პარამეტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მდგრადობას როგორც მოკლევადიან, ასევე საშუალო- და გრძელვადიან პერსპექტივაში. ნავარაუდევია, რომ მისი დონე არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 60%-ს, ხოლო უფრო შორეულ პერსპექტივაში უნდა შემცირდეს მშპ-ის 25%-მდე. დაგეგმილია აგრეთვე ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, კერძოდ, 2014 წლიდან ბიუჯეტის დეფიციტი უნდა შეადგენდეს არა უმეტეს მშპ-ის 3%-ს, ხოლო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის წილი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 30%-ს. გრძელვადიან პერიოდში გათვალისწინებულია ინფლაციის შენარჩუნება ერთიან მანქანებზე და მუდმივი მონიტორინგის დაწესება ლარის გაცვლით კურსზე, რათა მან ნეგატიურად არ იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე.

გეგმა ითვალისწინებს ფინანსური სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფას და გარე შოკებზე დამოკიდებულების შემცირებას, ფასიანი ქაღალდების ლიკვიდური ბაზრის ჩამოყალიბებას, საბანკო საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების გაზრდას, ბიზნესის გააქტიურებას. გეგმის თანახმად 2015 წელს 2005 წელთან შედარებით დაახლოებით 9-ჯერ უნდა გაიზარდოს როგორც საბანკო აქტივები, ასევე დეპოზიტები და სასესხო პორტფელის მოცულობა. შესაძლო საგარეო შოკების შერბილებისა და საგარეო ვალდებულებების მომსახურების მიზნით გათვალისწინებულია ქვეყანას ჰქონდეს საკმარისი საერთაშორისო რეზერვები. კერძოდ, 2015 წელს 2010 წელთან შედარებით საერთაშორისო წმინდა რეზერვების მოცულობა გაიზარდება 107%-ით.

- **მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება.** იგი გულისხმობს ღია ეკონომიკის განვითარებას, ექსპორტის და ტურიზმის ზრდით მიმდინარე ანგარიშის ბალანსის ოპტიმიზაციას. ამ მიზნით გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმილია ეკონომიკის განვითარების ისეთ სტრუქტურის ფორმირება, რომლის შედეგად 2015 წლისათვის 2011 წელთან შედარებით მიღწეულ იქნება სავაჭრო ბალანსის დეფიციტის განახევრება მშპ-სთან მიმართებაში. იგი ძირითადად მოხდება საქონლის ექსპორტის ზრდით, რომელშიც უდიდეს კომპონენტს დაიკავენ ტურიზმის სექტორი. საქონლის, მომსახურების და ტურიზმის ექსპორტი 2010 წელთან მიმართებაში 2015 წლისათვის 2-ჯერ უნდა გაიზარდოს, საშუალოდ 15- 20%-ით წელიწადში, ანუ ტურისტების რაოდენობამ უნდა 5 მილიონს უნდა გადააჭარბოს.

საგეგმო პერიოდში გათვალისწინებულია საპარტნიორო ფონდის შექმნა. მისი აქტივები გამოყენებული იქნება მსხვილი კერძო და სახელმწიფო საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად. საკრედიტო რესურსი მოზიდული იქნება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების აქციების საერთაშორისო ბირჟებზე განთავსების შედეგად მიღებული თანხებიდან. ძირითადი პროექტები განხორციელდება ისეთ დასაქმებადგეგვად სფეროებში (ენერჯეტიკა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი).

- **საუკეთესო საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს შექმნა.** გეგმის მოცემული ნაწილი ითვალისწინებს მეწარმეობისათვის არაკორუფციული და ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის და ოპტიმალური საგდასახადო გარემოს ფორმირებას. გათვალისწინებულია ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, შრომის ბაზარზე მობილურობის უზრუნველყოფა, სპეციალური რეგულაციები შემოღება 45 დან 60 წლამდე მოსახლეობის დასაქმების მიზნით. დაგეგმილია საგადასახადო სისტემის და ადმინისტრირების გამარტივება.

• **პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.** გეგმის თანახმად პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა უნდა შეადგინოს მთლიანი შიდა პროდუქტის მინიმუმ 6%, 2-ჯერ უფრო მეტი, ვიდრე ბოლო სამი წლის საშუალო მაჩვენებელი.

• **რეგიონის სავაჭრო და ლოგისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბება.** იგი ითვალისწინებს ეკონომიკის ღიაობის დონის გაზრდას, გამართული ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის ფორმირებას, სამაგალითო ადმინისტრაციულ მომსახურებას, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნას, სასაწყობო საწარმოების ლიბერალურ რეგულირებას, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების დაჩქარებას.

განსაკუთრებული პროექტებისთვის ინვესტორები გამოიყენებენ წამახალისებელ პირობებს. კერძოდ, ინვესტორს საწარმოს ასაშენებლად მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცემა სიმბოლურ ფასად; გამოიყოფა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო შენობები, რომლებიც შესაძლებელია შეღავათიან ფასებში გადაეცეს ინვესტორებს; ინვესტორი უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურით (გაზი, წყალი, ელექტროენერჯია); უცხოელ ინვესტორებს გაეწევთ დახმარება მუშახელის მოზიდვასა და ტრენინგების დაფინანსებაში. საგეგმო პერიოდში ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი უნდა გახდეს რეგიონული მნიშვნელობის საბითუმო და საცალო სავაჭრო ცენტრების შექმნა.

• **ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.** შეიქმნება განვითარებული, ხარისხიანი და უსაფრთხო საგზაო ინფრასტრუქტურა ქვეყნის შიდა ტვირთბრუნვის, იმპორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის განვითარებისათვის. ამ პროექტების განხორციელებისას თავად მშენებლობაზე პირდაპირ და ირიბად ყოველწლიურად დასაქმდება 30 ათასამდე კაცი. საქართველოს რკინიგზა შეინარჩუნებს მომგებიანი საწარმოს სტატუსს, გაზრდის სიმძლავრეს, კომფორტს და სიჩქარეს. დასრულდება თბილისი-ბათუმის ჩქაროსნულ რკინიგზაზე მუშაობა მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში. ბათუმიდან თბილისამდე თანამედროვე მატარებლით მგზავრობის დრო 3 საათამდე შემცირდება. აღნიშნული პროექტზე დაიხარჯება 400 მლნ აშშ დოლარზე მეტი. გაგრძელდება მუშაობა ბაქო-თბილისი-ყარსის ახალ სარკინიგზო გზაზე, აშენდება თბილისის შემოვლითი სარკინიგზო ხაზი. აღნიშნულ პროექტებზე ყოველწლიურად საშუალოდ 8 ათასიდან 10 ათასამდე ადამიანი დასაქმდება. დასრულდება ქუთაისისა და ფოთის აეროპორტის მშენებლობა, 2015 წლისათვის დღეისათვის მგზავრთა არსებული რაოდენობა 50%-ით გაიზრდება, საავიაციო ინდუსტრიაში დასაქმებულთა რიცხვი სულ ცოტა 1,5-ჯერ უნდა გაიზარდოს. განვითარდება საზღვაო ტრანსპორტი, საპორტო ინფრასტრუქტურა, სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების მოცულობა. საქართველო უფრო აქტიურად ჩაერთვება მსოფლიო საკრუიზო ლაინერების ქსელში. 2015 წლისთვის შესაძლებელი იქნება ზღვით მგზავრთა გადაყვანის 2011 წლის მონაცემების გაორმაგება.

გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია სანდო, დივირსიფიცირებული და ფინანსურად მდგრადი ენერჯოსისტემის ფორმირება. იგი იქნება ერთ-ერთი ყველაზე ენერჯოუსაფრთხო რეგიონში, განახლებადი ენერჯის დიდი წილით, ენერჯის ექსპორტიორი და განვითარების უდიდესი ჰიდროენერჯეტიკული პოტენციალით. ელექტროენერჯიაზე ქვეყნის მოთხოვნა 100% დაკმაყოფილდება საქართველოში გამომუშავებული ჰიდროენერჯით. ქვეყანა გახდება ელექტროენერჯის მნიშვნელოვანი ექსპორტიორი. მომავალი 10 წლის განმავლობაში საქართველოში ბუნებრივი აირის

მოწოდება განხორციელდება დივერსიფიცირებული მოდელით. 2015 წლამდე საქართველოს მოსახლეობის 70% იქნება გაზიფიცირებული. დასრულდება ამჟამად მიმდინარე 10 ჰესის მშენებლობა, დაიწყება ახალი ჰესების მშენებლობა, სულ საგეგმო პერიოდში აშენდება 27 ჰესი, რომლებზეც დაიხარჯება 4 მლრდ აშშ დოლარზე მეტი და ამ პროექტებზე დასაქმდება 13 ათასი კაცი.

• **სოფლის მეურნეობის განვითარება.** იგი ორიენტირებული იქნება მეწარმეობაზე, შეიქმნება მოდერნიზებული და სამეწარმეო პრინციპებზე დაფუძნებული პირველადი და გადამამუშავებელი წარმოება და შესაბამისი ლოგისტიკური ცენტრები, მოხდება სასოფლო-სამეურნეო მიწების ჩართვა წარმოებაში. კერძოდ, 2015 წლისათვის საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიზნით დამუშავებული ფართობების რაოდენობა 50%-ით გაიზარდება. პრიორიტეტი იქნება მემარცვლეობა, მეღვინეობა, მეცხოველეობა, მეხილეობა. 2015 წლისათვის გათვალისწინებულია ხორბლზე მოთხოვნის 50%-ის ადგილობრივი წარმოებით დაკმაყოფილება, ხოლო 200 ათას ტონამდე სიმინდის ექსპორტირება. ღვინის ექსპორტის მოცულობა გაორმაგდება, ხოლო წარმოება 50%-ით გაიზარდება. გათვალისწინებულია მეცხოველეობისადმი ხელშეწყობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ლოგისტიკური ცენტრების ქსელის განვითარებას. გეგმით გათვალისწინებულია საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია და განვითარება.

• **ურბანული და რეგიონული განვითარება.** გეგმა ითვალისწინებს უთანასწორობის შემცირებას ურბანულ და რეგიონულ განვითარებაში, დასაქმების ცენტრების შექმნას, სოფლების ინფრასტრუქტურის გააუმჯობესებას. სოფლის სხელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ადგილობრივი და სასოფლო საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა. ნაპირდაცვის უზრუნველყოფის მიზნით გაგრძელდება შესაბამისი საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები. ასევე გაგრძელდება წყალმომარაგებისა და წყალარინების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.

უნდა ითქვას, რომ განსხვავებით წინა პერიოდებში მიღებული ეკონომიკური ხასიათის ანალოგიური დოკუმენტებისაგან, მოცემული “გეგმა” აშკარად წინადადებული ნაბიჯია, რადგან იგი, ერთი მხრივ, კომპლექსურად მოიცავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებს, ხოლო, მეორე მხრივ, იძლევა სრულ წარმოდგენას იმ ხედვებზე და ორიენტირებზე, რომელიც გააჩნია ხელისუფლებას ქვეყნის წინაშე მდგარი ძირითადი გამოწვევების დაძლევის მიმართულებით. მოცემული გეგმის ძლიერი და სუსტი მხარეები კონკრეტულად მისი რეალიზაციის პროცესში გამოვლინდება, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება მისი ზოგადი შეფასება და მონიტორინგი. ჩვენი აზრით, მიუხედავად მთლიანობაში გეგმის პოზიტიური შეფასებისა, მასში შეიძლება გამოიყოს ზოგიერთი დასაზუსტებელი და პასუხისმგებელი საკითხები. კერძოდ:

❖ გეგმა მეტისმეტად ოპტიმისტურია და არ გამომდინარეობს ქვეყნის განვითარების რეტროსპექტული კანონზომიერებებიდან. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მასში არაა კრიტიკულად შეფასებული უკანასკნელ წლებში ეკონომიკურ განვითარებაში ჩამოყალიბებული რეალური კანონზომიერებები, დღეისათვის არსებული პოზიტიური და ნეგატიური მხარეები და არაა გახსნილი მათი განმპირობებელი ძირითადი ფაქტორები და პირობები;

❖ გეგმაში სათანადოდ არაა გათვალისწინებული თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე კრიზისული მოვლენები და ორიენტირი აღებულია ავტონომიურ რეჟიმში ქვეყნის

ეკონომიკურ განვითარებაზე. თქმა იმისა, რომ საქართველომ მიაღწია ეკონომიკურ წარმატებებს იმ პირობებში, როდესაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკა ჩამოიშალა, არაზუსტია. საქართველოს ეკონომიკის ნაკლებად დაზარალება მსოფლიო კრიზისის პირობებში ძირითადად განპირობებულია 2008 წელს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ 4,5 მილიარდიანი ფინანსური დახმარებით და უცხოეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ მრავალი სხვადასხვა სახის ტექნიკური და ჰუმანიტარული პროექტების განხორციელებით. ამჟამად გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებიდან გამომდინარე, როდესაც ევროზონაში (საბერძნეთი, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია და სხვა) მწვავე საფალო-საბიუჯეტო კრიზისია, ამიტომაც ასეთი დახმარება მომავალში ნაკლებად სააღბათოა. თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა მსოფლიოს დანარჩენ მსხვილ ქვეყნებში, რაზედაც შეშფოთებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და მათი აზრით გლობალური ეკონომიკური კრიზისის მეორე ეტაპი შეიძლება უფრო მტკივნეული აღმოჩნდეს. ამ პროცესების ათპუნქტიან გეგმაში სათანადო დონეზე გაუთვალისწინებლობა გარკვეულწილად ასუსტებს მისი საიმედოობის ხარისხს.

❖ ასევე გეგმა სრულად არ ითვალისწინებს იმ რისკებს და ახალ გამოწვევებს, რომელიც შეიძლება დადგეს მომავალში, გამომდინარე ქვეყნის შიგნით არსებული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობიდან. საუბარია იმაზე, რომ საგეგმო პერიოდს ემთხვევა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები და, როგორც მსოფლიო პრაქტიკიდან ცნობილია, ასეთ ვითარებაში ეკონომიკური აქტივობა ნელდება, განსაკუთრებით ეს ეხება ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

❖ გეგმაში სათანადოდ არაა გათვალისწინებული ეკონომიკური განვითარების ინერციული ბუნება და ნახტომისებრი განვითარების საკმაოდ მაღალი რაოდენობრივი მაჩასიათებლები მათი პრაქტიკული რეალიზაციის სხვადასხვა სახის რისკების შემცველია.

❖ გეგმაში მკაფიოდ არ ჩანს დასახული მიზნების რეალიზაციის ეგზოგენური და ენდოგენური ფინანსური წყაროები, რაც წარმოდგენილი პროექტების მოხაზულ ვადებში პრაქტიკული რეალიზაციის ეჭვის წარმოშობის საფუძველს იძლევა. ალბათ ამითაა განპირობებული “გეგმის” ყოველ 6 თვეში განახლებაზე მინიშნება, რაც აკნინებს მოცემული დოკუმენტის პროგრამულობისა და საიმედოობის ხარისხს.

ზემოთქმული მისაზრებების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. ავიღოთ სახელმწიფო ვალი, რომელიც მშპ-სთან მიმართებაში “ათპუნქტიანი გეგმის” თანახმად არ უნდა აჭარბებდეს 60%-ს და თანდათანობით უნდა შემცირდეს 25%-მდე. იმისათვის, რომ გავერკვეთ იმაში თუ რამდენად რეალურია გეგმის ამ პუნქტის პრაქტიკული რეალიზაცია, საჭიროა ჩატარდეს საქართველოს მთლიანი საგარეო ვალების დინამიკის და სტრუქტურის რეტროსპექტული ანალიზი. საქართველოს მთლიანი საგარეო ვალმა 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 10,7 მლრდ აშშ დოლარი (17,6 მლრდ ლარი) შეადგინა. აქედან, 3,6 მლრდ აშშ დოლარი (5,9 მლრდ ლარი) იყო სამთავრობო სექტორის ვალი, 0,8 მლრდ აშშ დოლარი – ეროვნული ბანკის, 1,9 მლრდ აშშ დოლარი – კომერციული ბანკების, 1,9 მლრდ აშშ დოლარი – სხვა სექტორების, 2,5 მლრდ აშშ დოლარი – კომპანიათაშორისი სესხები. საყურადღებოა, რომ გასული ხუთი წლის განმავლობაში ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის მოცულობა თითქმის 3-ჯერ გაიზარდა. იგი 2006 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენდა 3,8 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო, როგორც უკვე აღინიშნა, 2011 წლის

ბოლოსათვის გაიზარდა 10,7 მილიარდამდე (ზრდა-281,6%). დღეისათვის საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის მოცულობა აღემატება ქვეყნის მშპ-ს მოცულობას შესადარ ფასებში, ხოლო მიმდინარე ფასებში იგი 80 პროცენტს აღწევს.

საქართველოს საგარეო ვალის მაღალი ტემპებით ზრდა სერიოზული ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) საფრთხის შემცველია. საერთაშორისო საგარეო ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 60 პროცენტამდე საერთაშორისო პრაქტიკით დასაშვებია მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, სადაც ექსპორტ-იმპორტის საღლო დაბალანსებულია ან ექსპორტი აღემატება იმპორტს. საქართველოს პირობებში კი, სადაც ექსპორტი იმპორტს 4-ჯერ ჩამორჩება, სახელმწიფო საგარეო ვალის იმ მოცულობამდე ზრდა, რამდენიც იმპორტის ღირებულებაა, დიდი ეკონომიკური საფრთხის მატარებელია. ახალი სახელმწიფო სესხების მოზიდვა, უახლოეს მომავალში შექმნის დეფოლტის საფრთხეს, რაც ქვეყნისათვის უადრესად ნეგატიური მოვლენა იქნება. ამის მაგალითები უკვე არსებობს საბერძნეთში, ესპანეთში, იტალიაში, პორტუგალიაში და ევროპის სხვა ქვეყანაში, სადაც საგარეო ვალებისა და ბიუჯეტის დეფიციტის გაუკონტროლებელმა ზრდამ ეს ქვეყნები დეფოლტის საფრთხის წინაშე დააყენა, უფრო მეტიც, საფრთხე შეუქმნა მთელ ევროზონას და მსოფლიო საფინანსო სისტემას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელი ინვესტორები ძირითადად იმ ქვეყნებით ინტერესდებიან, რომელთაც არ გააჩნიათ დიდი საგარეო ვალი და საგალო საერთაშორისო რეიტინგში სტაბილური ადგილი უკავიათ. აქედან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საგარეო ვალდებულებების მაღალი ტემპებით ზრდა გაუმართლებელია გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე. უპირატესად საგარეო და საშინაო სესხების ზრდის საფუძველზე ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დარეგულირება ეროვნული ეკონომიკის სისუტის მანვენებელია. გამომდინარე აქედან, საჭიროა მაქსიმალურად თავშეკავება ახალი საგარეო სესხების მოზიდვისაგან და ძალისხმევის წარმართვა შიდა ფინანსური რესურსების მობილიზაციისაკენ, საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვა და, შესაბამისად, ვალების დაგროვებასთან დაკავშირებული საფრთხის თავიდან აცილება. „ათპუნქტიანი გეგმის“ თანახმად მთელი რიგი მსხვილი პროექტების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია უცხოური კაპიტალის მოზიდვა, რაც ერთის მხრივ, ძნელად განსახორციელებელია მიმდინარე გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში, ხოლო, მეორე მხრივ, სავარაუდოა, რომ მომავალში შეღავათიანი საგარეო სესხის მიღება მნიშვნელოვნად გართულდება ამავე მიზეზების გამო. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ გეგმის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი უფრო მტკიცე დასაბუთებას საჭიროებს.

საყურადღებოა, რომ „ათპუნქტიანი გეგმაში“ ვერ მოხვდა ქალაქლაზიკას მშენებლობის საკითხი, რაც გეგმის მიღებიდან სულ მოკლე დროში იქნა გაცხადებული. რა თქმა უნდა, ასეთი მსხვილი და სტრატეგიული პროექტის გაუთვალისწინებლობა ერთგვარად ასუსტებს გეგმის დასაბუთებულობის ხარისხს.

მიუხედავად ზემოთ გამოთქმული შენიშვნებისა და სურვილებისა შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ქვეყანას გააჩნია ეკონომიკური და სოციალური განვითარების საშუალოვადიანი კომპლექსური ორიენტირი, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია უდავოდ დიდ როლს შეასრულებს მდგრადი და სტაბილური ეკონომიკის მშენებლობასა და განმტკიცებაში.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტრატეგიული განვითარების “ათპუნქტიანი გეგმა”-მოდერნიზაციისა და დასაქმებისათვის (2011-2015), ოქტომბერი, თბ., 2011.
2. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2012-2015წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი), საქართველოს მთავრობა, თბ., 2011.
3. საქართველოს ორგანული კანონი “ეკონომიკური თავისუფლების შესახებ”.